ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 14 ივნისი 1921 წ.

№ 83 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 83

გამოცდა საუკეთესოდ ჩააბარეს.

(თბილისის ორგანიზაციის კონფერენციის შესახებ).

ჩვენი პარტიის თბილისის ორგანიზაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. მას მეტად საპასუხისმგებლო როლი აქვს დაკისრებული. ის მაგალითის მიჩვენებელი უნდა იყოს ყველა დანარჩენ ორგანიზაციებისათვის. და ამიტომაც ადვილი გასაგებია ის გაფაციცებული ყურადღება და ინტერესი, რომლითაც თითეული პარტიული წევრი შეეგება მის პირველ კონფერენციას. გამოიჩენს თუ არა თბილისის პროლეტარიატის რწმუნებულთა კრება სიმწიფეს ახალ, მეტის მეტად საძნელო ამოცანების გადაწყვეტაში, შესძლებს თუ არა ის სწორი ალღო აუღოს ახალ ვითარებას რევოლიუციონერი სინამდვილით წარმოშობილს, შესძლებს თუ არა ძველი ღრმა ჭრილობების ტკივილების გაქარწყლებას და თავის მტკიცე ნებისყოფის გამოჩენას საბჭოთა საქართველოს შენების საკითხებში—აი რა კითხვები წამოიჭრა ყოველი ჩვენგანის წინაშე, როცა ხელახალი რეგისტრაციის დასრულების შემდეგ საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქის პროლეტარულმა ორგანიზაციამ თავი მოიყარა პირველ თავისუფალ კონფერენციაზე.

ეს კონფერენცია უკვე დასრულდა. და დასრულდა მეტად ნაყოფიერად. მან ცხადჰყო თბილისის ორგანიზაციის სრული სიმწიფე, სიმწიფე პოლიტიკური, სიმწიფე შემოქმედებითი აღმშენებლობის. მრავალმხრივი შინაარსის დღის წესრიგი ამოწურულ იქნა, ყველა საჭირბოროტო საკითხი პარტიული და საბჭოთა აღმშენებლობის გაშუქებული და პრაქტიკულად გაზომილი დარჩა.

ყოველ ჯანსაღ კოლექტივს ახასიათებს არა ერთგვარობა და ერთფერობა, არამედ ცხოვრების წინწამწევი და გამარღმავებელი სხვა და სხვაობა მთლიანობის ჩარჩოში. კონფერენციას დაეტყო იმ თავითვე ასეთი წამახალისებელი აზრ-შეხედულებათა სხვაობა იმ გზა—საშუალებათა ძიებაში, რომლითაც პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უფრო ჩქარა და ნაკლები მსხვერპლის გაღებით გადაჭრიან მორიგ წყეულ საკითხებს და მიაღწევენ საბოლოო მიზანს.

ასეთი მაცოცხლებელი ოპოზიცია მუდამ სასურველია. ასეთი ოპოზიცია იყო ჩვენს კონფერენციაზე, მაგრამ ოპოზიციონერებმა თვით განაცხადეს პირველ სხდომაზევე, რომ მათ არ აქვთ თავისი საკუთარი პოზიცია, თავისი განსხვავებული ხაზი, რომ უმთავრესში პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს პოლიტიკური ხაზი და პოზიცია მათი ხაზი და პოზიციაა. და ეს მათ დაამტკიცეს კიდეც მით, რომ ცენტრ. კომიტეტის რეზოლიუცია-ტეზისები დიდი ხმის უმეტესობით იქმნა მიღებული.

კონფერენციამ საუცხოვოდ ჩააბარა საერთაშორისო კომუნისტურ პარტიის პირველი გამოცდა. რკინის დისციპლინით ჩაქვითკირებული, რევოლიუციონერი მარქსიზმის თეორიით და პრაქტიკით შედუღებული, რევოლიუციონერი ცენტრალიზმის ჩარჩოში პროლეტარული დემოკრატიზმის შეძლებისდაგვარად გაშლებით თბილისის ორგანიზაცია გამოვიდა კონფერენციიდან მოღონიერებული, გათვითცნობიერებული და ბრძოლის წყურვილით გაჟღენთილი. და ეს მომასწავებელია იმის, რომ ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებიც მტკიცედ ივლიან იმ გზით, რომლითაც გაეშურა აღმშენებლობისაკენ და შემოქმედებისაკენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ავანგარდი.

ს. კ. პ. თბილ. ორგანიზაციის პირველი პარტიული კონფერენცია

ამხ. მახარაძის მოხსენება საქ. კომ. პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ.

მახარაძე (გაგრძელება) გარეგნული მხრით ეს იყო მხოლოდ სასურსათო გაწერის შეცვლა ნატურალური დაბეგვრით. დაბეგვრას, როგორც გაწერასაც, იხდიან გლეხები. მაგრამ ნამდვილად მდგომარეობა, ეჭვს გარეშე, იცვლება. გაწერა ამ სახით ნახევარზე მეტად მცირდება. გარდა ამისა, დაშვებულია აზრი, რომელიც კომუნისტური ერესად ეჩვენებოდათ. გლეხს, რომელმაც გაიღო ნატურალური გადასახადი, ნება ეძლევა დარჩენილი ზედმეტი გადაცვალოს მრეწველობის პროდუქტებზე. სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი რიგი ცვლილებათა, მთელი რიგი თითქო უკან დახევისა, დაშორებისა. მაგრამ ყველაფერი ეს გათვალისწინებული იყო.

მე რამოდენიმედ გადავუხვიე, როდესაც ვლაპარაკობ საქართველოში კომუნისტური პარტიის მიზნების, აქ ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლების შექმნის და განმტკიცების შესახებ. საქმე ის არის, რომ როდესაც საქართველოში მყარდებოდა საბჭოთა რეჟიმი, ამ მომენტში ამ ახალი კურსის ხაზები მხოლოდ ისახებოდა. ამ დროს დიდ უმრავლესობას ეგონა, რომ შაბლონი ერთხელ და სამუდამოდ გამომუშავებულია,—შაბლონი, რომლის გამოყენება შეიძლება სადაც და როდესაც გნებავთ,—და რომ საჭირო არ არის რაიმე ახალი ფორმები. როდესაც ამხ. ლენინი საქართველოს კომუნისტებისადმი მიმართულ წერილში სწერდა განსაკუთრებული სიფრთხილის და თანდათანობის აუცილებლობას სოციალიზმში გადასასვლელად აქ, ბევრს ეგონა, რომ ამხ. ლენინი ამას სჩადიოდა მხოლოდ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, მაგრამ ცხადია, რომ ეს ასე არ არის. რომ მეჩვენებინა თუ რა ნაირი მდგომარეობა შეიქმნა რუსეთში და უფრო ადვილად გავითვალისწინოთ ჩვენი მიზანი საქართველოში, მე გადავუხვიე რამოდენიმედ.

ჩვენ უნდა შესაფერისად გამოვიყენოთ რუსეთის მთელი გამოცდილება, არ უნდა განვიმეოროთ ისეთივე შეცდომები, ჩვენ აუცილებლად არ უნდა გავიაროთ ყველა ის საფეხურები, რომლებიც გაიარა საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ გვაქვს ეს გამოცდილება.

ჩვენ ვიცით, რომ არა ყველა ქვეყნებში მოხდება ერთგვარად სოციალიზმში გადასვლა, ამ მხრივ არ არსებობს განსაზღვრული შაბლონი. შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული, ამის მიუხედავადაც, რომ ჩვენ მიგვეპოვება დიადი გამოცდილება პროლეტარიატის დიქტატურის არსებობისა, ჩვენ ვერ შევძლებთ ზოგიერთი შეცდომები არ დაუშვათ, იმიტომ, რომ თუ ჩვენში ეხლა არ აქვს ადგილი სამოქალაქო ომს, თუ ჩვენში ეხლა არ ღვრება სისხლი, როგორც ის ღვრებოდა სამი წლის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე,—აქ. კავკასიის სინამდვილის პირობებში, არსებობს ვითარება შეძლება კიდევ უფრო რთული. უნდა შევიგნოთ ჩვენი შეცდომები, უნდა პირდაპირ ვაღიაროთ ასეთები. პარტიაც იმისთვის არსებობს, რომ იგი დარაჯად იდგეს, მიუთითებდეს შეცდომებზე და მათ ასწორებდეს. ბევრ ამხანაგს ეჭვი ებადება, მართლაც ხომ არ არის ღალატი საბჭოთა ხელისუფლებისა, პროლეტარიატისა, სოციალიზმის მიმართ ის, რომ ჩვენ საქართველოს მიწა-წყალზე ნებას ვრთავთ წვრილ ვაჭრობას, მეწარმეობას უწევთ წვრილ წარმოებას და ვაძლევთ კონცესიებს, ყოველ შემთხვევაში პრინციპიალურად, თუ ჯერ პრაქტიკულად არა; არ არის ეს თანდათანი გადასვლა ნამდვილ კაპიტალიზმზე, საბოლოო გაკოტრება სოციალისტური ხელისუფლებისა?

თუ ვერ გავითვალისწინებთ შექმნილ მდგომარეობას და ამასთან იმ გზას, რომლითაც შეგვიძლია შემდეგში ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ, ეს მაგრე მოგვეჩვენება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, მთავარი ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცოთ საბჭოთა ხელისუფლება, რომ ეს ძალა-უფლება შერჩეს მშრომელ მასებს ქალაქის მუშებს და ღარიბ გლეხობას, რომ მრეწველობის მთავარი დარგები, მსხვილი ვაჭრობა, მსხვილი წარმოებანი, სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტი იყვნენ ამ საბჭოთა ხელისუფლების ხელში.

ჩვენს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში საქმე უნდა ეჭიროს მუშათა კლასს. თუ ჩვენ უშვებთ ზოგიერთ დათმობებს, თუ ეხლა ზოგიერთ კაპიტალისტურ წარმოებებს არსებობის საშუალებას ვაძლევთ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გავამრავლოთ მუშებისათვის საჭირო პროდუქტები. ჩვენ გლეხებს უტოვებთ ნამუშევრის ზედმეტს იმისთვის, რომ გადაცვალონ ასეთი წვრილ მწარმოებლებთან. ამით ჩვენ ვადიდებთ საქონლის ფონდს და თანდათან გადავდივართ იმ მდგომარეობაზე, რომლის დროს სრულიად ისპობა ყოველგვარი გადასახადი და იქმნება ნამდვილი გაცვლა-გამოცვლა. ამ მდგომარეობისაკენ მივყავართ იმ გზას, რომელიც დასახულია რუსეთის კომუნისტური პარტიის მე X ყრილობის მიერ. ესაა ღრმად მოფიქრებული გეგმა, გათვალწინება დიდი გამოცდილებისა, რომელიც დაგროვა რუსეთმა. თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით რუსეთი წარმოადგენს უმაღლეს ფორმაციას, საქართველოსა და სომხეთთან შედარებით. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ბაქოს რაიონი, აზერბეიჯანი კი უფრო დაბლა დგას. ასეთ პირობებში ჩვენთვის მეტად ძნელი იქნებოდა ახალი ცდის გაკეთება, მაგრამ პარტია მთლიანად უნდა ჩაწვდეს დღევანდელი მომენტის აზრს და გაითვალისწინოს ეს მდგომარეობა. პირველ რიგში დგას საკითხი ნამდვილი პარტიის შექმნის შესახებ. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ აქ დღევანდლამდი პარტია, პარტიული ორგანიზაციები ჩამოყალიბებული არარის ჩვენ არ გაგვივლია ის სკოლა, რომელიც განვლო რუსეთში კომუნისტურმა პარტიამ. ჩვენ არ განვიცდით იმ რკინის დისციპლინას, რომელიც აღუღებდა რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრებს. ბევრ გაუგებრობას იწვევს ისიც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ მოვახერხეთ შეგვექმნა სახელმწიფოებრივი აპარატები. კომუნისტურმა პარტიამ უნდა შექმნას ეს აპარატი, რადგან არ არის რომელიმე სხვა პარტია და ვინმე სხვა, ვისაც ჰქონდეს ასეთების შექმნის უნარი. ამ დარგში ისევ საბჭოთა რუსეთი გვაძლევს დიდ გაკვეთილს, ჩვენ არა გვაქვს საკუთარი ძალები, საკუთარი მასალა, რომლისაგან ჩვენ შეგვეძლოს მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აშენება ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმ მასალით, რომელიც დაგვიტოვა კაპიტალისტურმა ქვეყანამ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევქმნით ვერავითარ სოციალისტურ წყობილებას, არ არიან ისეთი წმინდა კომუნისტები, რომელთაც შეეძლოთ გვერდი აუხვიონ ბურჟუაზიულ სპეციალისტების დახმარებას, იქნებიან ეგენი სამხედრო, თუ სხვაგვარი სპეციალისტები. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ამ სპეციალისტებმა შეძლონ მუშაობა სოციალიზმის სასარგებლოდ. ამ სპეციალისტების დახმარებით რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება გამოვიდა გამარჯვებული სამხედრო ფრონტზე და გაიმარჯვებს ეკონომიურ ფრონტზედაც, იმდენად, რამდენადაც შესძლებს აქ მათი გამოყენებას. სხვა გზები ჩვენ არ გაგვაჩნია,—ეს უნდა დაიხსომონ კომუნისტებმა, იგულისხმება, არ ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოდ ვენდობით ამ სპეციალისტებს, ჩვენ მათ უნდა მივუჩინოთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, რომელნიც თვალ ყურს ადევნებენ მათ და წაიყვანენ იქითკენ, საითკენაც საჭიროა ჩვენთვის მათი წარმართვა. მხოლოდ ასეთ პირობებში მოვახერხებთ თავი დავაღწიოთ იმ ეკონომიურ სიძნელეთ, რომელშიაც ეხლა ვიმყოფებით. ბევრი ამხანაგი გაკვირვებულია, რომ ჩვენთან მუშაობენ, ღმერთმა უწყის ვინ და ვინ. არა ეს უნდა გვაკვირვებდეს, არამედ ის, რომ ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ დაფიქრა სპეციალისტების შრომის გამოყენების აუცილებლობა. ჩვენ არ შეგვიძლია სპეციალისტების ადგილზე დავსვათ კომუნისტები, თუ გინდ ჩვენი საუკეთესო პარტიული ამხანაგები, თუ ისინი ვერ მოახერხებენ შეასრულონ მიწის მზომელის, აგრონომის, ინჟინრის და სხ. სამუშაო. საჭიროა მხოლოდ შევძლოთ მათი გამოყენება. ამ მხრივაც ისევ საბჭოთა რუსეთი გვაძლევს ჩვენ მითითებას, დარიგებას. იქ, სადაც შესძლეს სპეციალისტების მუშაობის გამოყენება, ჩვენ მივიღეთ წითელი ლაშქარი, რკინის გზის ტრანსპორტის აღდგენა, ხოლო, სადაც ეს ვერ მოახერხეს, ნგრევა ვერ იქმნა აცილებული.

(დასასრული იქნება)

ამხ. მახარაძის მოხსენების გამო მიღებული რეზოლიუცია საქ. კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ.

1. საქართველოს კომუნისტურ პარტიას დღევანდელს მომენტში ყველაზე უფრო მთავარ საქმედ მიაჩნია საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცება, ესე იგი ძალა-უფლების შენარჩუნება მუშების და ღარიბ გლეხობის მიერ. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში წარმოშობილმა აქ რუსეთში ასეთის დამყარების სამ-ნახევარი წლის შემდგომ სავსებით უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს მთელი ის მდიდარი გამოცდილება, რომელსაც იძლევა საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკა რუსეთში, რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

2. ჭეშმარიტი რევოლიუციონური მარქსიზმი ვერ ურიგდება შაბლონს; მისთვის არ არსებობენ ერთხელ და სამუდამოდ მიღებული დებულებები და სამარადისო ჭეშმარიტებანი. საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში შეუძლია და ვალდებულიც არის მთავარი თავისი შინაარსი აიღოს რუსეთის საბჭოთა პრაქტიკის მდიდარი გამოცდილებიდან; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიაროს ყველა ის საფეხურები, რომლებიც გაიარა მან რუსეთში, ე. ი. გაიმეოროს ყველა ის სამეურნეო-ეკონომიური ღონისძიებანი, რომელიც იქ ნაკარნახევი იყო ხანგრძლივი უსასტიკესი სამოქალაქო ომის ვითარებით. სამხედრო კომუნიზმი როგორც ასეთი, დღევანდელს ხანაში საქართველოში აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაინც უნდა იქნას მიღებული ზომები კონტრ-რევოლიუციონურ ძალების ძირშივე აღმოსაფხვრელად. და აგრეთვე მოსამზადებლად საბჭოთა ხელისუფლების მიერ კონტრ-რევოლიუციის ყოველგვარი ცდების ასალაგმავად.

რ. კ. პარტიის მეათე ყრილობამ, მუშათა-კლასის მდგომარეობის დაჩქარებით გაუმჯობესობის მიზნით, რომელიც, პროდუქტების ნაკლებობის ან სრული უქონლობის გამო, განიცდიდა საშინელ გაჭირვებას, სასურსათო პროდუქტების სახელმწიფოებრივი გაწერა (სულადი ბეგარა) შესცვალა ნატურალური დაბეგვრით, ამასთან გლეხობას, წვრილ მწარმოებელთ შინამრეწველებს და სხ. ნება მიეცათ თავიანთი ნაწარმოების ზედმეტის თავისუფალი ადგილობრივი ტრიალისა საფაბრიკო—საქარხნო მრეწველობის საგნებზე, რომელიც იმყოფება სოციალისტური პროლეტარიატის ხელში. გარდა ამისა, მსხვილი სახელმწიფოებრივი მრეწველობის რაც შეიძლება სწრაფი აღორძინების და ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის განმტკიცების ინტერესებისათვის, აგრეთვე მუშებისათვის საქონლის სახელმწიფოებრივი ფონდის დაჩქარებით გასადიდებლად,—აუცილებელია მოწყობილ იქნას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობა, რომ ჩვენი ნედლეულობის სამაგიეროდ მივიღოთ იქიდან საჭირო მანქანები, იარაღები, აგრეთვე ფართოდ მოსახმარი საგნები. ყველაფერი ეს თავის მხრივ მოითხოვს მთელ რიგ ახალ ღონისძიებათ მრავალ მილიონიან გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის და შინამრეწველების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ისევ და ისევ საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების და კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ინტერესებისათვის.

4. საქართველოში მდგომარეობის გათვალისწინება იძულებულს გვხდის აღვნიშნოთ, შემდეგი ფაქტები: არც საბჭოთა და არც პარტიული აპარატები აქ ჯერ საკმაოდ მოწესრიგებული არ არის. ვერც რევკომებმა, ვერც პარტიულმა კომიტეტებმა, ადგილობრივ ვერ მოახერხეს გაეშალათ თავიანთი მოღვაწეობა, ხოლო ზოგიერთ ალაგას ისინი შესდგებიან უვარგის ელემენტებისაგან. ყველა ამის მთავარი მიზეზია პარტიული ორგანიზაციების სისუსტე, ფართო პარტიული მასსების ნაკლები მომზადება, პარტიის წევრების დაუდევრობა, უმაღლეს ორგანოების მასსებიდან მოწყვეტილობა. ყველა ამის შედეგად და მწვავე ეკონომიური კრიზისის არსებობის გამო, ჩვენ ვამჩნევთ ბიუროკრატიზმის ზრდას, რომელიც იღებს მეტად საშიშ ხასიათს.

5. ამიტომ მთელი ჩვენი პარტია უნდა ამოძრავდეს, მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე, მჭიდროდ შეკრას ყველა თავისი რიგები, რომ იხსნას საბჭოთა ხელისუფლება და გამოიყვანოს საქართველოს მუშათა კლასი მძიმე მდგომარეობიდან. პარტიის წინაშე ეხლა წამოყენებულია შემდეგი მთავარი ამოცანები:

ა) დაუყოვნებლივ შექმნა მტკიცე, ძლიერი, რკინის დისციპლინით შედუღებულ ორგანიზაციებისა; გაჯანსაღება ყველა პარტიული ორგანიზაციებისა ზევიდან დაწყებული ქვედა ფენამდე, ყველა შემოპარულ კარიერისტულ, ანგარებიანი და საერთოდ არა სასურველ ელემენტებისაგან, მათი გამორიცხვის გზით, ამასთან შეუჩერებელი ბრძოლა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამომჟღავნებასთან.

ბ) შექმნა და განმტკიცება თავისი თვისებითი შემადგენლობით და ზნეობრივი ღირსებით ძლიერი პარტიული უჯრედებისა ყველა ფაბრიკებისა, ქარხნების და სახელოსნოებში, ყველა საბჭოთა და სამხედრო—ადმინისტრატიულ დაწესებულებებში.

გ) ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების უმჭიდროესი კავშირი პარტიულ მასსასთან, მოსპობა იმ მოწყვეტილობისა, რომელიც, სამწუხაროდ, ეჩნევა ეხლა ერთის მხრივ ხელმძღვანელ ორგანოებსა და მეორეს მხრივ პარტიულ მასსას შორის,—მნიშვნელოვან საკითხების გამშუქებელი მოხსენების მოწყობის გზით, აგრეთვე პასუხისმგებელ მუშაკთა სისტემატიურ კრებების მოწყობით.

დ) მუშაობის გაძლიერება პროფკავშირებში და უპარტიოთა შორის, ლექციების, მოხსენებების, უპარტიო კრებების მოწყობის საშუალებით.

ე) ვინაიდან ჩვენი პარტიული მასსები ჯერ კიდევ ნაკლებად მომზადებული არიან, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა მუშაობისათვის, აუცილებელია დაუყოვნებლივ შეუდგეთ ფართო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას, ყველა საფეხურის პარტიული სკოლების და კურსების მოწყობით რისათვის უნდა იქნან გაწვეულნი პარტიის ყველა საუკეთესო ძალები, აგრეთვე გამოყენებულნი ის ამხანაგებიც, რომელთაც უპირავთ მეტად საპასუხისმგებლო ადგილები.

6. ბოლოს, პარტია უნდა იღებდეს ყოველ ზომებს მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით იღებს რა ყოველგვარ ზომებს და აკეთებს რა ყველაფერს, რაც მისგან დამოკიდებულია, პარტიის მთავარი მიზანი მაინც არის აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც მუშებს აუხსნის შექმნილ მდგომარეობის მიზეზებს და ამასთან უჩვენებს სახსნელ გზებს. პარტიამ უნდა აწარმოოს მუშაობა მუშათა ფართე მასებს შორის არა მარტო სიტყვით არამედ საქმითაც, პრაქტიკით, უნდა ითვალისწინებდეს მუშების ყოველდღიურ ცხოვრების ყველა წვრილმანებს. მხოლოდ ამ გზით მოიპოვებს პარტია გავლენას და ხელმძღვანელობას ფართო მუშურ-გლეხურ მასებზე, სწორედ ამით მივაღწევთ ჩვენ პარტიის განმტკიცებას და გაძლიერებას! მაგრამ ამასთან ესაა საწინდარი მუშების და გლეხების ხელისუფლების განმტკიცებისა.

საბჭოთა საქართველო

აჭარის მეჯლისის გახსნა

ბათომი. 7 ივნისი (დეპეშა) ივნისის 6 ბათომში გაიხსნა აჭარის მეჯლისი. დილიდანვე ქალაქი მორთული იყო დროშებითა და მწვანე ფოთლებით. 12 საათზე ყველა მაღაზია და დაწესებულება დაიხურა. მრავალრიცხოვანი პროცესია, რუსეთის და საქართველოს ჯარები მივიდნენ მეჯლისის შენობასთან, ორკესტრმა დაუკრა ინტერნაციონალი. ხალხი მეჯლისის წევრებს მიესალმა—1 საათზე მეჯლისის შენობაში შეიკრიბნენ საზოგადოება, მთავრობის და დაწესებულებათა წარმომადგენელნი, კომპარტიის წევრები, უცხო სახელმწიფოთა ელჩები და წითელი არმიის უმაღლესი სარდლობა. დილის 6 საათზე სავსე დარბაზში რევკომის თავმჯდომარემ ამხ. ჟუჟილიამ ახლად არჩეული მეჯლისი გახსნილად გამოაცხადა.

„მეჯლისის ადრინდელი შემადგენლობა, სთქვა ჟუჟილიამ, რომელმაც არ დაიმსახურა ხალხის ნდობა, დათხოვნილ იქმნა. ახალი მეჯლისი გამოხატავს

დღეს ნომერში:

რევკომის თავჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ მიიღო სასწრაფო ზომები, რუსეთში გადასახლებული ოფიცრების და ჯარისკაცთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

6 ივნისს ბათომში გაიხსნა აჭარის მეჯლისი. მეჯლისის თავმჯდომარემ ლორთქიფანიძემ განაცხადა, აჭარა დარჩება საქართველოს საზღვრებში ფართო ავტონომიური უფლებებით.

ინდოეთში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა. ბევრ ადგილას რკინის გზელები და სხვა მუშები გაფიცულნი არიან, ყველა დიდ ქარხნებში მუშაობა შეჩერებულია.

გალეში მომხდარ აჯანყების გამო გერმანიაში გაასამართლეს კომ. პარტიის თავმჯდომარე ბრანდლერი და მიუსაჯეს 5 წლით დაპატიმრება, ამას გარდა. ამ საქმის გამო გამოტანილია 786 განაჩენი, რომლებითაც ციხეში დატუსაღების საერთო ჯამი უდრის 1965 წელს, აგრეთვე გამოტანილია 4 სასიკვდილო განაჩენი.

გერმანიაში ამ ჟამად გამართულია რუს მონარქისტების ყრილობა, რომლის მიზანია მონარქიის მომხრეთა გაერთიანება—შეკავშირება და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოლაშქრების მოწყობა

ინგლისში უმუშევართა რიცხვი 4 მილიონ კაცს უდრის.

ხალხის ნამდვილ ნებისყოფას და ამის შემდეგ ყველა საკითხებს, რომელიც შეეხება აჭარის ცხოვრებას, აჭარის ხალხი თვითონ გადასწყვეტს". სიტყვის დასასრულს ამხ. გუბელიას მხურვალედ მიესალმა ხალხის ახალ არჩეულთ. ამხ. გუბელიას სიტყვა დაფარა ტაშმა და ინტერნაციონალის სიმღერამ, შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ასან ეფენდი ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ეფენდი ხარაზი მამედ ეფენდი ბურანან ოღლი. თავმჯდომარე ლორთქიფანიძემ წარმოსთქვა შემდეგი შინაარსის სიტყვა „ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ პირველ რიგში წამოაყენა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი, რის წყალობითაც აჭარის ხალხმა ბოლოს მიიღო თავისუფლება. ამის შემდეგ ის თვითონ სწყვეტს თავის ბედიღბალს.

მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირისათვის მეჯლისი, საჭიროდ სთვლის, რომ აჭარა დარჩეს საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიურ უფლებებით მეჯლისი აღნიშნავს, რომ ყველა დაწესებულებანი, დაარსებულნი ბათომში რევოლიუციონური წესით, ემსახურებიან მშრომელთა ინტერესებს და უნდა განაგრძონ თავის მუშაობა, ხოლო ისე რომ შემდეგში მათ იმოქმედონ ქვეყნის უმაღლეს ორგანოს, მეჯლისის ჩვენებით. აჭარის ავტონომია არის ხელშეკრულების შედეგი. თავის სიტყვაში ამხ. ლორთქიფანიძე შემდეგ მიესალმა საქართველოს მთავრობას. ეს მისალმება დაფარულ იქნა ტაშით, რის შემდეგაც შეასრულეს ინტერნაციონალის ჰიმნი. შემდეგ ამხ. ლორთქიფანიძე მიესალმა აზერბაიჯანის, ოსმალეთის და სპარსეთის კონსულს. ორატორმა თავისი სიტყვა დაასრულა ასე: გაუმარჯოს წითელ არმიას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას. ამხ. ლორთქიფანიძის სიტყვის შემდეგ კრება რამდენიმე ხნით შესწყდა. მეჯლისის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში და მათ წინ გაიარეს ჯარებმა ცერემონიალური მარშით. აქვე მოაწყეს მიტინგი.

პირველი სიტყვა მიეცა რევკომის თავმჯდომარეს გუბელიას, რომელმაც სთქვა: მოქალაქენო, თქვენ მძიმე პირობებში გიხდებათ მუშაობის დაწყება. ძველი მთავრობა შოვინიზმს და ძალადობის პოლიტიკას ატარებდა. ეს პოლიტიკა არ ინდობდა წვრილ ხალხებს ახშობდა აფხაზეთს და აჭარას და როდესაც ამ ხალხმა მოითხოვა თავის უფლებათა განხორციელება, მათ ხიშტებზე მიუთითეს. თქვენ გატყუებდნენ, თქვენ გაშინებდნენ, რომ ბოლშევიკები წაგართმევენ თქვენს ქონებას, მაგრამ თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს სიცრუეა. თქვენ შეგიძლიათ თქვენ შვილებს ოსმალურ სკოლებში ასწავლოთ, თქვენ შეგიძლიათ ის რჯული იწამოთ, რომელსაც თქვენ ჭეშმარიტად სთვლით, ჩვენ თქვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, ჩვენში ნახავთ ნამდვილ მეგობრებს. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით იმპერიალისტთა ძალადობის წინააღმდეგ. ჩვენ ყოველთვის [illegible] იმისთვის, რათა გაუმჯობესდეს აჭარის ხალხის მდგომარეობა. ჩვენმა ძლიერმა მოკავშირემ საბჭოთა რუსეთმა მტკიცედ გადასწყვიტა იბრძოლოს ყველა ხალხის განსათავისუფლებლად. ჩვენ ერთი საერთო მტერი გვყავს; ჩვენ უნდა ერთად ვიბრძოლოდ მის წინააღმდეგ. იყავით ჩვენთან ერთათ და ვერავინ შესძლებს თქვენს დამონებას.

თავის სიტყვა ამხ. გუბელიამ ასე დაამთავრა: გაუმარჯოს თავისუფალ აჭარას, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს; გაუმარჯოს ჩვენს მოკავშირე თავისუფალ ოსმალეთს და მის ბელადს მუსტაფა ქემალს. ამ სიტყვას ჰფარავს მხურვალე ტაში და ინტერნაციონალის ხმა.

შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს ამხ. მახარაძის დეპეშას, რომელიც ესალმება მეჯლისს. დეპეშას ტაშის ცემით ეგებებიან.

შაბათობა სამტრედიაში

სამტრედიაში გამართულმა შაბათობამ ჩაიარა დიდი აღტაცებით და წარმატებით. შაბათობაში მონაწილეობდა 60 კომუნისტი და თანამგრძნობი. 35 ვაგონი გადმოტვირთეს. მუშაობის მოთავების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რაზედაც გამოსულმა ორატორებმა შაბათობის მნიშვნელობა ახსნეს.

დრამატიული თეატრის კომისრათ სამტრედიაში დანიშნულია ამხ. ხელაია, სამხატვრო განყოფილების და მხატვრობის გამგეთ ამხ. დ. კვატაძე და შენგელაია.

ფოთი

(დეპ.) პარტიული სკოლის გახსნა.

ივნისის 5 დილის ზეიმით გაიხსნა პარტიული სკოლა. კომპ. ცეკას სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლამბაროვმა. მან დაასურათა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ სკოლას პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლის საქმეში და კერძოთ კი საქართველოში, რომელიც წინა მთავრობისაგან მძიმე ბორკილებით იყო შეზღუდული. ადგილობრივი რევკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რევკომის თავმჯდომარე ამხ. გოგიამ; ისიც შეეხო ამ სკოლის დიად მნიშვნელობას და აღნიშნა ის, თუ რა დიდი დადებითი შედეგები და ნაყოფი შეუძლია მოუტანოს ამ სკოლამ კერძოთ ფოთს. ამის მეოხებით ჩვენ გვეყოლება გამოცდილი და მედგარი მებრძოლი მუშაკნი, რომელთა ძალა მოხმარდება საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საქმესო. არმიის სახელით სიტყვა სთქვა № პოლკის სამხედრო კომისარმა. ის იმედს გამოსთქვამს რომ პროლეტარიატის ინტერესებისთვის კურსანტები გასწევენ მედგარ ბრძოლას. „გრუზროსტის" ადგილობრივ განყოფილების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მელქუმოვმა. ის შეეხო სიტყვიერი აგიტაციის მნიშვნელობას, სიტყვიერი აგიტაცია პირდაპირი გაგრძელებაო პროლეტარიატის გამარჯვებისა და მისი განმტკიცებისაო. წითელი ფლოტის და ნავთ სადგურის მუშების სახელით წარმოითქვა სიტყვა. სკოლის გახსნას დაესწრნენ ზუგდიდის და სენაკის რაიონების წარმომადგენლები. დამსწრეთ სადილი გაუმართეს.

კატერი „ჩაიკა".

სამეურნეო საბჭოს წინადადებით ნავთსადგურის მუშებმა დიდის ცდითა და შრომით ივნისის ექვს ზღვიდან ამოიღეს მენშევიკებისაგან ჩაძირული კატერი „ჩაიკა". მისი შეკეთება დამთავრდება სულ ახლო ხანში.

საბჭოთა რუსეთში

გრუზროსტას დეპეშები

ჩვენი საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი. 8 ივნისი. (რადიო). ჩვენი სავაჭრო ტრიალი საზღვარ გარეთთან თანდათან იზრდება. აპრილში ლატვიითა და ესტონეთით რუსეთში შემოიტანეს 2868 ვაგონი საზღვარგარეთის საქონელი, მაისში 3688 ვაგონი. მაისში გაიტანეს საზღვარ-გარეთ 18 ვაგონი სელი და 4 ვაგონი სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო საქონელი. საზღვარ-გარეთიდან ელიან კიდევ 1450 ვაგონს გუთნებითა და სხვა საკრები მანქანებით, 170 ვაგონს ჩაქუჩებით, 150 ვაგონს ცელებით, 10 ვაგონს მთესავი მანქანებით, 10 ვაგონს ჩალის მტვრელს, და სხვა მრეწველობისათვის საჭირო საგნებს. გადასაცვლელად გადაეცემა 305 ვაგონი სელი, 170 ვაგონი კანაფის ძენძი. 200 ვაგონი თამბაქოსი და 100 ვაგონი აზბესტი (კავროსტა).

ცენტრო კავშირის ხელშეკრულება

მოსკოვი. 9 ივნისი (რადიო) სასურსათო სახალხო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო ცენტროკავშირთან სახელმწიფოსთვის სასოფლო სამეურნეო წარმოების და ნედლი მასალის დასამზადებლად საქონლის გაცვლის გზით. სახალხო სასურსათო კომისარიატმა უნდა გადასცეს ცენტრო კავშირს არსებული ფონდები. ცენტროკავშირი თავის დამზადებულ ოპერაციებს აწარმოებს მომხმარებელ საზოგადოებათა და სხვა კოოპერატივთა დახმარებით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავს კერძო შუამავლებს. სახალხო კომისარიატი აძლევს ყოველივე საჭირო (დამახინჯებულია)... და აძლევს ავანს და საჭირო თანხას, აგრეთვე ანხორციელებს ცენტრალურ კონტროლს. ოპერაციების არსებობისათვის ცენტროკავშირი ღებულობს საკომისიო გასამრჯელოს და აგრეთვე პრემიას ნატურით და ფულით. ხელშეკრულება ვრცელდება წარსული წლის სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებზედაც. (კავროსტა).

ზრუნვა მუშებზე

მოსკოვი. 8 მაისი. (რადიო). მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსებულმა პერმის კომისიამ მიიღო ეკატერინებურგიდან სახურავი რკინა და ლურსმანი მუშათა ბინების შესაკეთებლად. კომისიამ მოაწყო სახელოსნო მუშათა ტანისამოსის დასაკერად. საგუბერნიო სატყეო კომისიამ ქალაქის მახლობლად მუშებს მიუზომა ტყე თავისი ხელით შეშის დასამზადებლად.

ვინაიდან საჭიროა მუშებისა და ფრონტებიდან ქარხნებში დაბრუნებულ წითელ არმიელთათვის ავეჯის მიცემა, მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა წარადგინა ცენტრალურ საბინაო განყოფილების საავეჯო სექციაში სიები დაწესებულებებში არსებულ ავეჯეულობისა, რომელიც უნდა გადაიქცეს მუშების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. (კავროსტა).

გააძლიერეთ სასოფლო კომიტეტების მუშაობა.

მოსკოვი. 8 ივნისი. (რადიო) სასოფლო კომიტეტებმა დაიწყეს თვისი მუშაობა მცირე ამოცანებიდან: მათი მოღვაწეობა პირველ ყოვლისა გამოიხატებოდა ხვნა-თესვის გეგმის მოწესრიგებაში, თესლეულობის განაწილებაში და შრომის ერთ-ერთ დახმარების მოწყობაში. სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის დადგენილებით, სასოფლო კომიტეტების უფლება-მოვალეობა გაფართოვებულ იქმნა. ის დღეს წარმოადგენს სასოფლო საზოგადოების ეკონომიურ ორგანოს. ის იხილავს და არჩევს ყოველგვარ წინადადებას, რაც კი ეხება სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს, მათი მოვალეობაა მიწის მუშასა და შინა მრეწველ შორის სოფლად საქონლის გაცვლა-გამოცვლის და საქონლის ტრიალს ხელი შეუწყონ მთელი თვისი ძალღონით, განავითარონ სოფლათ წვრილი მრეწველობა, დაეხმარონ სოფლად მომხმარებელ საზოგადოების წვრილ ერთეულობის დაარსება-მოწყობის საქმეში, მოაწყონ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობები, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება სახელმწიფოს და სოფელს შორის შეთანხმებული შეერთებულ მუშაობის საქმეში. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელმა სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით სასოფლო კომიტეტები წარმოადგენენ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ადგილობრივ ორგანოებს. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მიიღონ სასოფლო კომიტეტებმა და ეხლავე სასწრაფოთ შეუდგნენ საორგანიზაციო კომპანიის სასარგებლოთ აგიტაციას. მიმდინარე 1921 წ. დამუშავებულ და დათესილ ადგილების დიდი რაოდენობა ნათლათ ამტკიცებს, რომ ჩვენს გლეხობას აქვს საკმაო უნარი სწრაფად გააფართოვოს და გააძლიეროს წარმოება სოფლათ ყოველგვარ კოოპერაციის და წვრილ მრეწველობის განვითარების საქმეს უნდა მიექცეს მთელი ჩვენი ყურადღება.

შინა მრეწველობის მოვალეობა

მოსკოვი 10 მაისი (რადიო). ჩვენთვის საჭირო მანქანებს და პროდუქტებს ჩვენ ვიღებთ საზღვარ-გარეთიდან მომეტებულ ნაწილათ ოქროზე. საზღვარ გარეთ საქონელს გვიცვლიან ხე-ტყესა, კანაფსა, მატყლსა და სელში. სარფიანათ შეგვიძლიან გადავცვალოთ საზღვარ გარეთ ჩვენი შინა მრეწველობის ნაწარმოები. გარეშე ვაჭრობის განყოფილებამ შინა მრეწველებს 10 მილიარდი მანეთის საქმე შეუკვეთა. ამ დღეებში საზღვარ გარეთ მიდის ორი ვაგონი სანიმუშო ნაწარმოებისა, რომელიც იგზავნება ლონდონს; იქვე მიიღებენ შეკვეთას და აღებულ ფულით შეიძენენ ჩვენთვის საჭირო საგნებს. შინა მრეწველობის მოვალეობაა დაეხმარონ რესპუბლიკას დაარსოს საქონლის ფონდი საზღვარ გარეთ საქონლის შესაძენათ და ჩვენი მეურნეობის აღსადგენათ.

კომუნისტებმა მაგალითი უჩვენეს.

მოსკოვი. 8 ივნისი. (რადიო). ველსკში ვოლოგდის გუბერნიაში სამაზრო კონფერენციის დამთავრების შემდეგ, კონფერენციის წევრები გამოვიდნენ ტყეებით მდინარე ვაგაზე ხე ტყის გასატანათ. კომუნისტებმა 18 საათი იმუშავეს. ამ საქმის მცოდნეებმა აღმოაჩინეს, რომ 80 კომუნისტებმა გადაიტანა იმდენი ხე ტყე, რამდენიც ჩვეულებრივ მხოლოდ 5 დღეში გადააქვთ.

პიესათა კონკურსი.

მოსკოვი. 24 მაისი, მოსკოვის პროლეტარიატმა გამოაცხადა მუდმივი კონკურსი რევოლიუციონურ—სიმბოლიურ და რევოლიუციონურ ყოფა ცხოვრების გამომხატველ, აგრეთვე სცენარიებისა და სტუდიათა შინაგან მუშაობისათვის საჭირო პიესებზე. პიესა და სცენა არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ ფურცლის ნახევარს. საუკეთესო პიესისათვის დანიშნულია ორი ჯილდო: 250200 ათასი მანეთი; სცენარიისათვის 100 და 60 ათასი მანეთი.

ფინეთის დელეგაცია მოსკოვში.

მოსკოვი. 8 ივნისი. (რადიო). მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის ბანკებისა და მრეწველ მოღვაწეთა დელეგაცია. კომისიის შემადგენლობაში შედიან ქაღალდის და ლითონის ტრესტების წარმომადგენელნი და აგრეთვე ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ამხანაგი. ფინეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა ახლო მომავალში ჩამოიტანოს მიწის დასამუშავებელი იარაღები, სტამბის ქაღალდი და სხვადასხვა ხარისხის ლითონები. თავის მხრივ მათ მეტად ესაჭიროებათ ჩვენი ნედლი მასალა, კერძოთ მათ სჭირდებათ სელი და სელის ძენძი. მოლაპარაკება გარეშე საქმეთა სახ. კომისარსა და დელეგაციას შორის სასურველად მიმდინარეობს.

ნატურალური გადასახადი მეფუტკრეობის ნაწარმოებზე

მოსკოვი. 8 ივნისი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ მეფუტკრეობის ნაწარმოებზე თაფლის და სანთლის სახით დადებული გადასახადი შესცვალა ნატურალურ გადასახადით. გადასახადიდან განთავისუფლებულია: ერთი სკის მქონე მეურნეობა, ახალი ნაყარი ფუტკარი და საფუტკრე, რომელიც მიმდინარე წელშია მოწყობილი.

სამგზავრო ფასის აწევა.

მოსკოვი. 8 ივნისი. (რადიო). ამ დღეებში ცხოვრებაში გატარებული იქნება რკინის გზით მიმავალ მგზავრთათვის სამგზავრო ფასის აწევის პროექტი. ფასი წესდება 20 ჯერ მეტი არსებულ ნორმაზე, ქალაქის განაპირა უბანში 10-ჯერ დიდი. სამგზავრო ფასის აწევის შედეგი იქნება ის, რომ შემოსულ ფულის რაოდენობა გამოიხატება 68,000,000,000 მანეთში.

ნავთი შავი-ზღვის სანაპიროსათვის.

მოსკოვი. 22 მაისი. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის საზღვაო საექსპლოატაციო ცენტრალურმა სამართველომ აღძრა საკითხი ყირიმის და ჩრდილო-დასავლეთის შავი-ზღვის ნავთსადგურების საჭიროებისათვის ნავთის ნაწარმოებთა მიწოდების შესახებ.

ეს საკითხი აღიძრა იმის გამო, რომ შავი ზღვის ნავთსადგურები მძიმე კრიზისს განიცდიან სათბობ მასალის მხრივ. ნავთის ნაწარმოებთა გადასაზიდად განზრახულია შეაკეთონ 2 გემი, რომელიც ნიკოლაევშია. ეს გემები გადაკეთებულ უნდა იქნას ექვსი კვირის განმავლობაში. თვითეულ გემს თვის განმავლობაში შეუძლიან 12 გზა გააკეთოს ნოვოროსიისკსა და ფეოდოსიას შორის. 6 თვის განმავლობაში გადასაზიდად განზრახულია სულ 10,000,000 ფუთი ნავთის ნაწარმოები. გადასაზიდად ეხლა დამზადებულია 3,000,000 ფუთი.

მარილის მარაგი სამხრეთ რუსეთში.

მოსკოვი. 24 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ სამხრეთის მარილის დამამზადებელ საბჭოს მოთხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მარილია ყირიმში და შავი ზღვისა და აზოვის ზღვის ნაპირებზე. საპასუხო ცნობების მიხედვით, სამხრეთის მარილის დამამზადებელ საბჭოს აღრიცხული აქვს სულ 28.577,000 ფუთი მარილი, რომლის რიცხვიდან 1.790,000 ფუთი შეიძლება ახლავე დაიტვირთოს. დანარჩენი 26.787,000 ფუთი საჭიროა გადაიზიდოს სადგურებზე.

საზღვარ გარეთ

გრუზროსტას დეპეშები.

რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

ლონდონი. გაზ. „მორნინგ პოსტ" იუწყება, რომ ინდოეთში ყველგან ვრცელდება აგიტაცია და აღელვება ხალხში, მეტადრე მუშებში. ჩიტაგონის ნავთსადგურში ბენგალიის ყურეს აღმოსავლეთ ნაპირას აღელვება მუშებში ქრონიკულათ გადიქცა. გემებს აღარა სცლიან. ყველა დიდი ფაბრიკა გაჩერებულია. უკვე ორი კვირაა ბირმაში რკინისგზელების გაფიცვა გადაიქცა საყოველთაოდ. ჩრდილოეთ ბოგარაში, ჩამპარნის ოლქში უკიდურესმა მემარცხენეებმა დაწვეს შაქრის ფაბრიკები. ევროპიელები შეადგენენ აქ მეტად უმნიშვნელო ნაწილს პროპაგანდისაგან აღელვებულ მკვიდრ ხალხისას.

მდგომარეობა ინგლისში.

მოსკოვი, 23 მაისი. ინგლისის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ახლო დღეებში ქვანახშირის მუშათა გაფიცვა მოითხოვს მთავრობისაგან ახალ ზომების მიღებას ნახშირის მოხმარების შესამცირებლათ. ეს შემცირება მეტათ ნაკლებია შედარებით იმ ზარალთან, რომელსაც ნახავს ინგლისის მრეწველობა. იმგვარი საშინელება, როგორიცაა ინგლისის მაღაროებში მომუშავეთა გაუთავებელი გაფიცვები, ჯერ არ უნახავს არც ერთს განათლებულ ქვეყანას. ლაპარაკია ახლა არა სამუშაო ხელფასის გადიდებაზე, არამედ მაღაროებში მომუშავეთა უფლებაზე, რომ მათ ინგლისის [illegible] თავს მოხვიონ სურვილები, [illegible] არ შეუძლიან [illegible] მომუშავეთ. ეს იქნებოდა ლაჩრობა. ყოველი ცდა „საბჭოთა სისხლიან ხელისუფლების" გატარებლად უნდა მარცხით დამთავრდეს. მაღაროს მეპატრონენი მტკიცე ჯიუტობით ეწინააღმდეგებიან შეთანხმებას, რადგან ქვა ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის ეშინიათ.

სადარაჯოზე.

მოსკოვი. 8 ივნისი, (რადიო). ჯერ არც კი დამთავრებულა რუსეთის ვაჭარმრეწველთა პარიზში შემდგარი ყრილობა, და მერცევს თაოსნობით გაიმართა მეორე ვრანგელისებური რუსული ეროვნული ყრილობა. ეწყობა და დგება არა მარტო ჩვენი კონტრ-რევოლიუციის ძირითადი ძალა—სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალი, არამედ ერთდებიან ყველა ჩვენი თანამემამულე კონტრ-რევოლიუციონერები, რომლებიც ამ კაპიტალის ხელში დაქირავებულ ძალას წარმოადგენენ. გერმანიაში ამ ჟამად რუს-მონარქისტთა ყრილობაა გამართული. ყრილობას ესწრებიან მხოლოდ მემამულეთა და ბიუროკრატიულ ოფიცრობის წარმომადგენლები. ყრილობის მიზანია მონარქიის მომხრეთა გაერთიანება და შეკავშირება ორგანიზაციულად.

აქ ხდება ყოფილ გაბატონებულ კლასის ყოველმხრივი მობილიზაცია. ყოველივე ამას მტკიცე და აუცილებელი კავშირი აქვს რუს ცენზიან ელემენტების მიერ ანტანტის მთავრობის შორის გამართულ საიდუმლო მოლაპარაკებასთან. ადვილი შესაძლებელია, რომ ახალ ავანტიურას მეტი შანსები ჰქონდეს და ძლიერდებოდეს დღეს. მაგრამ რუსეთის მუშათა კლასს და გლეხობას ჯერ არ სძინავს თავის სადარაჯოზე, და ამიტომ ტყვილათ ნუ იმედოვნებენ პარიზში მყოფი ბობოლები. მათი ოცნება რუსეთის ხალხის ხმალზე გადაიმსხვრევა.

ანგარიშის გასწორება.

ჰანოვერი. 7 ივნისი. (რადიო). გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის თავჯდომარეს ბრანდლერს, გალეში მომხდარ აჯანყებების გამო მიუსაჯეს ციხეში დატუსაღება 5 წლის ვადით. სულ ამ აჯანყების გამო გამოტანილია 786 განაჩენი, რომლებითაც ციხეში დატუსაღების ვადის საერთო ჯამი უდრის 1915 წელს. გამოტანილია 4 სასიკვდილო განაჩენი.

ვრანგელის ახალი რეზიდენცია.

მოსკოვი. 23 მაისი. როგორც ეტყობა—საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ვრანგელის ჯარის დიდი ნაწილი გადაგზავნონ სამხრეთ სლავიაში, რომელიც მომავალში შეიძლება, რუსს შავ რაზმელთა ბურჯათ გადაიქცეს.

კომუნიზმის გაძლიერება საფრანგეთში.

ინგლისის კომუნისტური ჟურნალი „უორკერს დრედნაუტი" შემდეგ ცნობებს იძლევა კომუნისტურ მოძრაობის განვითარების შესახებ საფრანგეთში: 14 თვის წინათ ჩრდილოეთ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სექციამ დაარსა ყოველკვირეული გაზეთი „პროლეტარი" რომელიც იმ დროს დიდის დაბრკოლებით გამოდიოდა და მეტად მცირე გასავალი ჰქონდა. ეხლა „პროლეტარი" გადაიქცა ჩრდილოეთ საფრანგეთის კომუნისტურ სექციის ორგანოთ და მისი გასავალი ადის ათი ათას ცალამდე. მისი უმთავრესი გამომცემელი დელური—ფიზიკური მუშაა.

მეთევზე შორიდანაც მეთევზეს ხედავს.

ბერლინი, 6 ივნისი. (რადიო). გუშინ პარიზში გაიხსნა ეგრეთ წოდებული რუსთა ეროვნული ყრილობა. ვრანგელთან არსებული რუსთა საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმნენ გუჩკოვი და დოლგორუკოვი. მათ აუცილებელ საჭიროებათ მიიჩნიეს ვრანგელის ლაშქრის შენარჩუნება. ყრილობამ ვრანგელს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა. (კავროსტა).

ინგლისი და ოსმალეთი.

ნაუენი, 6 ივნისი. (რადიო). ანგორის მთავრობის მტრული დამოკიდებულება ინგლისისადმი მეტად ძლიერდება. ატუსაღებენ ბრიტანეთის ყველა ქვეშევრდომს.

კრიზისი ინგლისში.

მოსკოვი, 10 ივნისი. (რადიო). უმუშევართა რიცხვი ინგლისში ავიდა 4 მილიონამდე. უმუშევრობისაგან დამზღვევი ფონდი სრულიად დაიხარჯა. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა შეამციროს უმუშევართა შემწეობის ნორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა

თურქული სექციის მისალმება.

თურქული სექციის სახელით ყრილობას მიესალმება ამხ. იბრაგიმოვი. ამხანაგებო, მოგესალმებით სრულიად საქართველოს უპარტიო მუშა ქალთა ყრილობას. თქვენ უწყით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყრილობას ქალებისთვის, და კერძოთ მუსულმან ქალებისთვის, მსოფლიოს ყველა ქალებში ისინი განსაკუთრებით მივიწყებულნი და უბედურები იყვნენ და მხოლოდ აქ პირველად ჩვენ ვხედავთ მუსულმან ქალებს, რომლებიც მოსულან საქართველოს მივარდნილ კუთხეებიდან, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთო მუშაობაში. მუსულმან ქალებში სულ რაღაცა 2 პროც. არის პროგრესიული ელემენტი, დანარჩენი მასა კი სიბნელით არის მოცული, ჩადრში გამოხვეული, რომელიც ვერც კი ბედავს შეხედოს ქვეყანას. მათ ჩვენ, თავისუფალ საქართველოს ქალნო, უნდა მივაქციოთ გაორკეცებული ყურადღება, ამ ჩამორჩენილ მასას არც შეუძლიან და ვერც შესძლებს შეასრულოს ის დიადი მიზნები, რომელიც დაკისრებული აქვს მას, მათ ესაჭიროებათ ხელმძღვანელნი, რომელთაც უნდა განთავისუფლონ საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ქალები. ჩვენ, მუსულმანები, მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ გაუწოდოთ ხელი მუსულმან ქალს და ერთად გავაკეთოთ მთელი მსოფლიოს და აღმოსავლეთის მშრომელთა განთავისუფლების საქმე. გაუმარჯოს აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ქალს. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს.

ყრილობამ მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

1. „პოალეი ციონ“ ესალმება საქართველოს მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას, რომელიც მოწვეულია მთელი ქვეყნის შრომის და კაპიტალის შორის გაჩაღებულ ბრძოლის დროს, როდესაც მუშათა კლასი და ყველა შევიწროებული იკრიბება მე-3 ინტერნაციონალის წითელ დროშის გარშემო, როდესაც მუშათა და გლეხთა საბჭოების ფედერაციამ საბოლოოდ გამოსტაცა იარაღი ბურჟუაზიას ხელიდან კულტურულ ქვეყნების ტერიტორიის ნახევარზე და შეუდგა აღმშენებლობითი შრომას იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის ნანგრევებზე. ამ ისტორიულ დროს მოწვეული საქართველოს მშრომელ ქალთა ყრილობა გააძლიერებს მებრძოლ პროლეტარიატის რიგებს და მოაახლოვებს საბოლოოთ გამარჯვების საათს. შევიწროებული ქალი, როგორც თავის კლასის წევრი, როგორც წევრი თავის შევიწროებულ სახლისა და როგორც წევრი ბურჟუაზიულ წესწყობილობის ოჯახისა მიიღებს სრულ განთავისუფლებას მხოლოთ სოციალიზმის გამარჯვების დროს. მის გარეშე თავისუფლება არ არის.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას.

გაუმარჯოს რევოლუციის გულს 3 ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სოციალიზმისკენ მიმავალ გზას.

გაუმარჯოს თავისუფალ მშრომელ ქალს საბჭოთა საქართველოში.

ს. დ. პარტიის „პოალეი ციონ“-ის თბილისის კომიტეტი.

2. **ბათომიდან.** საზღვაო ტრანსპორტის პოლიტიკური განყოფილება სალამს უგზავნის საქართველოს მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ქალების პირველი სერიოზული ნაბიჯი საერთაშორისო სოლიდარობის და კომუნიზმის საქმეში მიანიჭებს მთელს კაცობრიობას და კერძოთ კავკასიას-შრომის სამეფოს და თანასწორობას. გაუმარჯოს კომუნიზმს. საზღვაო ტრანსპორტის პოლიტიკური განყოფილება.

3. **ოზურგეთი.** კომპარტიის გურიის კომიტეტი მხურვალე სალამს უგზავნის საქართველოს მშრომელ ქალთა ყრილობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობა კომპარტიასთან ერთად შესძლებს გამოიყვანოს ქალთა მასები იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებოდენ ქალები დღევანდლამდე განსაკუთრებულ ისტორიულ პირობათა გამო.

4. **ცაგერი.** ლეჩხუმის მაზრის ქალთა საერთო კრება გულწრფელ სალამს გიგზავნით და გისურვებთ ქალთა უფლებების საჩქაროთ განმტკიცებას. დღეს ცხადათ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მთავრობამ მოგვანიჭა ჩვენ ნამდვილი თავისუფლება. ჩვენ ვიმეორებთ, რომ მალე დადგება სამართლიანობის ნათელი სამეფოს ხანა და ყოველივე ღონით ვიბრძოლებთ სხვა ეროვნებათა დაჩაგრულ ქალთა განთავისუფლებლათ. გაუმარჯოს საქართველოს და რუსეთის საბჭოთა მთავრობებს. გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

5. **რაჭა.** რაჭის მაზრის უპარტიო ქალთა დელეგაციის პირველი კრება მიესალმება ქალთა განყოფილების დაარსებას და გპირდება, რომ საბჭოთა მთავრობასთან ერთად ყოველივე ძალღონით ხელს შეუწყობს მუშაობის განვითარებას ქალთა საკითხის გარშემო.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 62.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის ა. წ. აპრილის 15-ს № 39-ს ბრძანების ნაცვლად, საქართველოს უმაღლესი რევოლუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორი, ხოლო კოლეგიის წევრებად: ამხ. ბურკაძე და ანშელევიჩი.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
რევოლუციონური კომიტეტის
მდივანი შ. გაბრიჩიძე.
1921 წ. ივნისის 11.
თბილისი-სასახლე.

ბრძანება № 63.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა.

ამასთანავე ცხადდება საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის დადგენილება საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

პრეზიდიუმი დამტკიცებულია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ბ. მდივანი და ს. ქავთარაძე.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
რევოლუციონური კომიტეტის
მდივანი შ. გაბრიჩიძე.
1921 წ. ივნისის 11,
თბილისი-სასახლე.

დეკრეტი № 41

საქართველოს ს. ს. რევოლუციონური კომიტეტისა.

წითელ არმიელებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

რომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის წითელ არმიელებისა და არმიაში მოსამსახურე პირთა თავგანწირული და ნაყოფიერი მუშაობისათვის შეიქმნეს საუკეთესო პირობები, შემოღებულ იქმნეს სახელმწიფო უზრუნველყოფა წითელ არმიელებისა და მათი ოჯახებისა, შემდეგ საფუძველზე:

1. უზრუნველყოფა ეძლევა საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარის ყოველ პირს, სახელდობრ: წითელ არმიელებს, მათ უფროსებს და სამხედრო მოხელეებს, როგორც მობილიზაციით გაწვეულთ, ისე მოხალისეებს, აგრეთვე შრომის უნარ მოკლებულ მათ ოჯახის წევრებს.

შენიშვნა: ქვემო მოყვანილ განმარტებაში, მთელი წითელი ჯარის შემადგენლობა, როგორც უფროსები, აგრეთვე არა უფროსები და სამხედრო მოხელენი იქმნებიან წოდებულნი წითელ არმიელებათ.

2. წითელ ჯარში მობილიზაციით გაწვევის ან მოხალისეთ შესვლის დროს ყველა მოსამსახურენი და მუშები, როგორც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისა და წარმოებისა აგრეთვე კერძო პირებთან მომუშავენი იღებენ მაშინვე სრულ ანგარიშს და ამას გარდა ორი კვირის ჯილდოს წინდაწინვე.

3. ჯარიდან დაბრუნებისას 1-ლ მუხლში მოხსენებული პირნი იღებენ ხელახლად იმ თანამდებობას, რომელიც მათ ჰქონდათ ჯარში შესვლამდე.

4. წითელ ჯარში მყოფ მიწის მუშებს ენახებათ ყოველი მათი უფლებები მიწაზე.

5. წითელ არმიელების ქონება თავისუფალია ყოველგვარ რეკვიზიციისა და კონფისკაციისაგან.

6. როგორც წითელი არმიელები, აგრეთვე მათი ოჯახები, რომელთაც ისინი ინახავენ, თავისუფალნი არიან მათი ჯარში ყოფნის დროს ყოველნაირ პირდაპირ გადასახადებისაგან, ხოლო ნახევრად სასურსათო გადასახადიდან.

7. წითელ არმიელის ჯარში ყოფნის დროს, მისი ოჯახი თავისუფლდება: 1) ბინის ქირის გადახდისაგან, 2) ბინიდან გადასახლებისა და გამოსახლებისაგან და 3) თავისუფლდება შრომის ბეგარისაგან.

8. დეზერტირ წითელ არმიელებს და მოპირდაპირეს მხარეზე გადასულებს და მათ ოჯახებს ესპობათ ამ დებულებით მინიჭებული უფლება უზრუნველყოფაზე.

9. წითელ არმიელების ოჯახებს ეძლევათ ყოველგვარი დახმარება ფულით.

10. აღნიშნულ დახმარებაზე უფლება აქვს წითელ არმიელის შრომის უნარ მოკლებულ ოჯახის წევრებს, რომელთაც ის ინახავდა სამხედრო სამსახურში შესვლამდის.

11. შრომის უნარ მოკლებულათ ითვლებიან: ა) წითელ არმიელის ცოლი ბავშვით 12 წლამდე, ბ) ბავშვები 16 წლამდე და აგრეთვე მოსწავლე შვილები მიუხედავათ მათი წლოვანებისა, ვ) წითელ არმიელების დები და ძმები, თუ ისინი 16 წლისაზე მეტისა არ არიან ან და სწავლობენ, გ) დედა 45 წელზე მეტი, დ) მამა 50 წ. მეტი და ე) ბებია და ბაბუა.

12. ოჯახის წევრებად, რომელთაც აქვთ უფლება დახმარებაზე, ითვლებიან აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილნი და ნაშვილებნი.

13. ზევით აღნიშნულ პირებს აქვთ უფლება დახმარებაზე მიუხედავათ მათი წლოვანებისა, თუ კი მათ შრომის უნარი აქვთ დაკარგული, რაც უნდა იქმნეს შემოწმებული არსებულ წესის თანახმად.

14. დახმარება ეძლევათ შემდეგ რაოდენობით: ერთს შრომის უნარ მოკლებულს ოჯახის წევრს ადგილობრივ მინიმალური სატარიფო ქირის 60 პროც., ორს 75 პროც., სამს და უფრო მეტს მთელი ხსენებული ქირა.

15. დახმარება წითელ არმიელთა ოჯახებს ეძლევათ სამსახურში შესვლის დღიდან.

16. დახმარების მიცემა ევალება სოციალურ უზრუნველყოფის პუნქტებს და თემის რევკომებს, რომლებსაც ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.

17. ამისათვის მაზრის სამხედრო კომისარი უგზავნის აღნიშნულ ორგანოებს სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების საშუალებით ჯარში მიღებულთა სიებს და აგრეთვე ცნობებს მათი ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

18. ამ მასალების მიხედვით სოციალურ უზრუნველყოფის პუნქტები და თემის რევკომები ადგილობრივ არკვევენ შრომის უნარ მოკლებულ პირებს, რომელთაც ინახავდნენ წითელ ჯარში გაწვეულები, ადგენენ მოთხოვნის უწყისებს და გზავნიან სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებში, რომლებიც დამტკიცების შემდეგ უკანვე დააბრუნებენ საჭირო ფულის თან დართვით.

19. ექიმების მიერ შემოწმება ხდება ადგილობრივად, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია და გასასინჯს სხვა ადგილს მოუხდება წასვლა შესამოწმებლათ, ამაში ის იღებს დღიურს მინიმალურ სატარიფო ქირის $^1/_{10}$, რაშიაც შედის გზის ხარჯიც.

20. წითელი არმიელების ოჯახები გარდა იმისა, რომ ფულით დახმარებას იღებენ, აწარმოებენ აგრეთვე სოფლის მეურნეობას, აქვთ უფლება მოითხოვონ, რომ მათი მიწები დამუშავებული იქნება საზოგადო ხარჯით და რომ თითონ განსაკუთრებულის წესით კმაყოფილდებოდნენ ფაბრიკა ქარხნების ნაწარმოების პროდუქტებით, რომელიც სოფელს გადაეცემა.

21. წითელ არმიელების ოჯახები, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ ეწევიან, ფულით დახმარების გარდა იღებენ სასურსათო ულუფას მოსამსახურეების ოჯახებთან თანაბრათ პირველ კატეგორიით,

22. წითელ არმიელების შრომის უნარიან წევრებს უფლება აქვთ რიგს გარეშე მიიღონ სამუშაო მუშა ხელის აღრიცხვის განყოფილებიდან.

23. წითელ არმიელების სიკვდილის ან დასახიჩრების შემდეგ ოჯახი ან დასახიჩრებული კმაყოფილდება იმ წესით, რომელიც იქნება შემოღებული სპეციალური დეკრეტით.

24. ამ დეკრეტის შესრულება ევალება სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო იმ ნაწილს კი, რომელსაც ეხება სასურსათო და სამეურნეო დახმარება, ანხორციელებს მიწათმოქმედების კომისარიატი.

25. სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წითელ არმიელების უზრუნველყოფა სწარმოებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და სათანადო სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეთანხმებით.

26. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი თოდრია.
რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.
1921 წ. ივნისის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 26.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს დაარსების შესახებ

1. ყველა იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედების გაერთიანებისათვის, რომელიც ამ ჟამად ლტოლვილთა და ტყვეთა საქმეებს განაგებენ და აგრეთვე მცხოვრებლების მასიური გადაყვანა-გადმოყვანის (გარდა სამხედრო დანიშნულების) საქმის მოწესრიგებისათვის, დაარსდეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ევაკუაციის ცენტრალი სამმართველო, როგორც ცალკე დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

2. ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოს განაგებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ ერთი წევრი, შინაგან საქმეთა კომისარის დანიშვნით.

3. ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოსთან უნდა დაარსდეს კოლეგია, რომელშიაც შედიან მუდმივ წევრებად თითო წარმომადგენელი სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ამიერ კავკასიის გაერთიანებული რკინისგზების სამმართველოსი, საქართველოსი, საქართველოს საგანგებო საგამომძიებლო კომისიისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან.

შენიშვნა: ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს კოლეგიაში თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის ის წევრი, რომელიც განაგებს ევაკუაციის სამმართველოს.

4. ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოს ევალება: 1) მოწყობა და სისრულეში მოყვანა უწყებების მიერ გათვალისწინებულ მცხოვრებლების მასიური გადაყვანა-გადმოყვანის საქმისა (გარდა სამხედრო დანიშნულებისა) 2) ლტოლვილთა და ტყვეთა ევაკუაციის მოწყობა 3) გადასაყვანი კონტინგენტების კმაყოფა სანიტარული დახმარებით, საკვებით და სხ. დაინტერესებულ უწყებებთან შემუშავებულ ინსტრუქციის თანახმად.

შენიშვნა: აღნიშნულ მცხოვრებთა კონტინგენტების მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს ნებართვით.

5) ევაკუაციის ცენტრალი სამმართველო შესდგება შემდეგი განყოფილებათაგან: 1) ადმინისტრატიული—რომელიც აწესებს და განაგებს ცალკე პუნქტებს, აღრიცხავს მათ მუშაობას და აწევს სანიტარულ დახმარებას, 2) სატრანსპორტო—საევაკუაციო, რომელიც განაგებს გადაყვანა გადმოყვანის საქმეს, არკვევს გადასაყვანი კონტინგენტების რაოდენობას, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს ლტოლვილთა და ტყვეთა გაცვლისა და გადაყვანის საქმეს; 3) მომარაგების განყოფილება, რომელიც განაგებს პუნქტების სამეურნეო ნაწილის მოწყობის საქმეს, ამარაგებს საევაკუაციო კონტინგენტებს საზოგადოთ და ყოველგვარი ნივთიერი კმაყოფით. და აგრეთვე აღრიცხავს და კონტროლს უწევს საგზალის განაწილებას.

6. ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებათ ითვლება ბაზისა და ხაზის პუნქტები, რომელნიც დაარსებულ იქნებიან ადგილობრივი რევკომების შინაგანი სამმართველოების განყოფილებებთან, ამასთანავე ზემოხსენებულ პუნქტების გასახსნელ ადგილებს აწესებს ევაკუაციის ცენტრალ სამმართველო და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

7. სარაიონო ბაზის და ხაზის პუნქტები შესდგება შემდეგი განყოფილებათაგან: 1) ადმინისტრატიულისა, 2) საფინანსო—სამეურნეოსა და 3) საევაკუაციო სატრანსპორტოსაგან.

8. ბაზის პუნქტების გამგეთ ნიშნავს ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს კოლეგია უშუალოდ ან იმ კანდიდატებიდან, რომელთაც წარმოადგენს ადგილობრივი რევკომი.

შენიშვნა: ბაზის პუნქტის გამგე უშუალოდ ექვემდებარება ევაკუაციის ცენტრალ სამმართველო გამგეს, ხოლო იმავე დროს იგი სათანადო რევკომის თვალყურისა და კონტროლის ქვეშ იმყოფება.

9. ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს ყველა დადგენილებანი მისი მოქმედების სფეროს საკითხების ფარგლებში სავალდებულოა საქართველოს ს. ს. რ. ყველა დაწესებულებათათვის.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
კვირკველია
რევკომის მდივანი ბ. გაბრიჩიძე
1921 წ. ივნისის 10
ტფილისი სასახლე

ეკონომიური ცხოვრება

უ. ს. მ. ს. კონსტრუქტორთა ბიურო

კონსტრუქტორთა ბიურო დაარსდა აპრილის ბოლო რიცხვებიდან და მის უმთავრეს მიზანს შეადგენს მისცეს საქართველოს მრეწველობას მოძრაობის სტრუქტურა, და ვინაიდგან ამ ჟამათ საქართველოში შესაძლებელია წყლით მამოძრავებელთა დადგმა და მოწყობა, ამიტომ ბიურო იმუშავებს წყალზე დასადგმელების და წყლის ტურბინების პროექტს, აგრეთვე გამომუშავებულია ორი ტიპის ტურბინი, რომელიც შეეფერება ადგილობრივ პირობებს და რომელიც დიდათ გავრცელდება საქართველოში. ამას გარდა მუშავდება მესამე ჯურა ტურბინისა, იაფი სოფლური ჯურა წისქვილისათვის.

ახალი ტურბინების დადგმა.

თითქმის დამთავრებულია ქ. ონის გიდრო-ელექტრო სადგურის ტურბინის დადგმის მუშაობა, რომელიც განზრახულია ქალაქის გასანათებლათ და ხე-ტყის სახერხავის ასაშენებლად. იდგმება ორი ტურბინი 50 ძალისა. არხი მოწყობილია ტურბინისათვის, მაგრამ ადგილობრივ პირობათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სიძლიერე მოსალოდნელია გადიდებულ იქნას თითქმის უსაზღვროდ.

სწარმოებს ქ. ქუთაისის სადგურის ასაშენებელი წინასწარი მუშაობა, რომელიც მისცემს ენერგიას ყოფილ ქარხ. „ჟორჟ ფაბრიკა“-ს და კერძო განათებისათვის. იდგმება ორი ტურბინა 60 ძალისა, თითო არხზე, რომლის სიგრძეც უდრის 250 საჟენს.

სწარმოებს მუშაობა ხონის სადგურის ასაშენებლათ. პირველ რიგში დაიდგმება ტურბინა 100 ძალისა და შემდეგ მეორე ტურბინის დადგმით განზრახულია პირველის 200 ძალამდე გაძლიერება. ადგილობრივი პირობები ხელს უწყობენ სიძლიერის უსაზღვროთ გაძლიერებას.

ქარხნების მოწყობა.

ბიუროს მიზანს შეადგენს აგრეთვე ქარხნების მოწყობა, რისთვისაც თანდათან მუშავდება პროექტები, [illegible] ტექნიკურ მოწყობილებათა [illegible]ბანი, სწარმოებს გეგმის სწორი დამუშავება, და თვალყურის დევნება გეგმის საჭირო ნაწილების წინასწარ შესრულებისთვის, შემუშავება ნომენკლატურის, შესაკრეფი მუშაობა, აგრეთვე მუშავდება საკითხი მეტრიულ სისტემის პრაქტიკულათ გატარების შესახებ.

წარმოებათა მომარაგება.

სახ. მეურ. უმ. საბჭომ ყველა საწარმოვო განყოფილებას დაუგზავნა ბარათები. ეს ბარათები მათს განკარგულებაში მყოფ ყველა წარმოებებში უნდა იქნას სასწრაფოთ დაგზავნილი ცნობების შესავსებათ. და უკანვე უნდა იქნას დაბრუნებული. ივნისის 8-დან საქონლის მოწოდება შეუწყდება ყველა იმ დაწესებულებას, საიდანაც საჭირო ცნობები არ იქნება წარმოდგენილი.

საფეიქრო ფაბრიკა.

სახ. მეურ. უმ. საბჭომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ აამუშაოს კუზნერის საფეიქრო ფაბრიკა.

რევკომის საქმიანობის ხელშეწყობა.

სახ. მეურ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა განყოფილებებს, რათა მათ შეძლებისდაგვარად ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ოზურგეთის რევკომს მიერ მრეწველობის და გამშვენიერების დარგში დაწყებულ საქმეს. თანახმად იმ წარმოებითი პროგრამისა და ხარჯთაღრიცხვისა, რომელიც წარმოდგენილია ხსენებულ რევკომის მიერ.

ხე-ტყის ქარხანა.

სახ. მეურ. უმ. საბ. წინადადება მისცა სატყეო კომიტეტს, რათა მან დაჩქარებით გამოარკვიოს, თუ რამდენათ შესაძლებელია ოზურგეთში ხე-ტყის ქარხნის მოწყობა და თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ის მოაწყოს და გადასცეს ადგილობრივ სამაზრო რევკომს.

სამაზრო რევკომებთან კონტაქტი.

სახ. მეურ. უმ. საბჭომ წინადადება მისცა დისტანციის უფროსს, რათა მან ოზურგეთის გზის შეკეთების საქმე აწარმოოს სამაზრო რევკომთან შეთანხმებით და აღმოუჩინოს უკანასკნელს ყოველი დახმარება.

ტყავეულობის ქარხნების გამოკვლევა.

უმაღლეს სახ. სამ. საბჭოს ტყავეულობის განყოფილების თანამშრომელი ამხ. ჯაფარიძე მივლინებულია პროვინციაში არსებულ ტყავეულობის ქარხნების მდგომარეობის გამოსაკვლევათ. თანახმად იმ მასალებისა, რასაც ამხ. ჯაფარიძე დააგროვებს გამოკვლევის დროს, მან უნდა შეადგინოს დაწვრილებითი სამეურნეო გეგმა და წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

უსაქმოდ დარჩენილი მგოსანი.

კვირას, 9 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში, მოცლილი ქართველ ქალთა საყვარელმა მგოსანმა იოსებ გრიშაშვილმა, თავის „დაცალკევებულ“ ჯიბის შესავსებათ გამართა „საღამო“.

პირველად სცენაზე გამოვიდა მოქ. შალვა ნუცუბიძე, რომელმაც წარმოსთქვა „საღამოს“ მნიშვნელობის დამახასიათებელი მოკლე „პოეტური“, მაგრამ მეტად „ორიგინალური“, დიპლომატიური, ორჭოფული აზრების მატარებელი სიტყვა. ყველაზე არ ვიტყვი, რადგან მსმენელები თითქმის რუსთაველის პროსპექტის მტკაპნავ მოცლილ ქართველი ქალებისაგან შესდგებოდა, და ქალებს კი „პოეტურად“ გამოთქმული სიტყვების „სილამაზე“ აპყრობდა. მაგრამ აქ იყო რამდენიმე სხვა პირიც, რომლებისაც ვერ გაეგო მთქმელის აზრი, „ლამაზათ“ ნახმარ სიტყვებს კი ვერ დაეკმაყოფილებია, და ახირებულ შთაბეჭდილობას განიცდიდა, გაკვირვებული იყო.

შემდეგ გაიმართა ბალეტი ცნობილ მორდკინის მონაწილეობით.

ბოლოს კი გამოვიდნენ: სცენის მოყვარე კომიკი გოცირიძე კინტოს ტანისამოსში ჩაცმული, და ქიაურელი ინტელიგენტურათ მორთული, რომლებმაც წარმოსთქვეს სხვა და სხვა საამდროვო კუპლეტები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ორი პირის მიერ წარმოთქმულ კუპლეტებში არა თუ გატარებული აზრი მთლიანად, არამედ თვით ყოველივე მიმე—ნიშანი და წერტილიც კი არსებულ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. აშკარად, ურცხვათ, რაც საზიზღრად ხატავდა, ტალახით თითხნიდა იმას, რაც დღეს ქართველმა მშრომელმა ხალხმა მოიპოვა, და მათ საგანძურს, მათ წმინდათა წმინდას შეადგენს: „მოხდენილ“ კომიკურ სიტყვებში გამოხატვით ისინი „კონტრაბანდით“ ატარებდენ მთელ იმ კონტრ-რევოლუციონურ „პროგრამას“, რომელსაც ფარულად აქ ჩვენ ვხედავთ მუშურ-გლეხურ მთავრობის მტერთა ფუსფუსში.

დასასრულ გამოვიდა თ
გრიშაშვილი, რომელმა
თავისი ქალთა ხოტბი
დენიმე უფერული ლ

ჩვენ ვფიქრობდი
ეხლაც, რომ ასეთ
კუთარი ჯიბის გას
მოები“, რომელსაც

ტორობის დროს, ბურჟუაზიულ ხანაში ჰქონდა ადგილი, დღეს, ჩვენს დროს, ყოვლად დაუშვებელია, რადგან შრომა და შრომის ხელფასის დაცვა ქვაკუთხედს შეადგენს ჩვენი მთავრობისას, ნიჭი, მხატვრულ-ხელოვნური შემოქმედება ყოველ მხრივ დაზღვეულია სახელმწიფოსაგან. ამის ნებას ჩვენი სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა და ბუნებაც ვერ აიტანს. მით უმეტეს ეს დაუშვებელი იყო ისეთი პოეტისადმი, რომელიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ხალხის იმ დიდი ნაწილისთვის, რომელთა ინტერესების დასაცავათ არსებული წესწყობილება,—საბჭოთა რესპუბლიკა არის მოწოდებული.

ქართველი მშრომელი ხალხი იცნობს გრიშაშვილს, მისი პოეზიის „ღმერთს", რომელიც ტიტველი ქალების ფეხებს, ტუჩებს და ცხვირებს დაიტრიალებს, ცხოვრების უფრო წარმტაც, მის სხვა უფრო მნიშვნელოვან მხარეებზე კი არაფერს ამბობს, ან არ შეუძლია სთქვას.

ჩვენ აგრეთვე მოგვხვდა ხელში, გვაქვს წაკითხული მისი „მშვენიერი" ლექსი ლვარძლით სავსე საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დაწერილი, რომელიც ჩუმად, ფარულად—ხელის მანქანით გადაბეჭდილი — რუსთაველის პროსპექტის მტკეპნავ უსაქმო პირების მეოხებით ვრცელდებოდა.

ამ „სადამოთი" პოეტმა გრიშაშვილმა, იმასთან ერთად, რომ მისმა „პატივის მცემლებმა" სცენაზე გაატარეს კონტრაბანდით არსებული პროლეტარული წყობილების საწინააღმდეგო კონტრ-რევოლუციონური აგიტაცია, გაისქელა მილიონობით ჯიბე; და აქ ჩვენ ვკითხულობთ—ვის სასარგებლოთ ან ვის საწინააღმდეგოთ იქმნება მიმართული ეს მისი შევსებული ჯიბე?! რა თქმა უნდა ჩვენი მრავალი ჯურის მტრების სასარგებლოდ!

ხევსატი.

ქრონიკა

რუსეთში გადასახლებულ ყოფილი ოფიცრების და ჯარის-კაცების დაბრუნება. რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძემ სასწრაფოთ წესით მიმართა სათანადო ორგანოებს, რათა დაუყონებლივ განთავისუფლებულნი და სამშობლოში დაბრუნებული იქმნენ ყოფილი მენშევიკური მთავრობის ლაშქარის ყველა ოფიცრები და ჯარის-კაცები, რომელნიც, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გადახდილ ბრძოლის დღეებში, დატყვევებულნი იყვნენ და რუსეთში გადასახლებულნი.

◆ **ხალხში.** ახლო მომავალში გაიმართება მრავალფეროვანი შინაარსით პროლეტარული ლიტერატურული საღამო.

◆ **ლტოლვილები.** ივნისის 9 თბილისიდან 80 ლტოლვილი ლატიში გაემგზავრა. სპარსეთის მთავრობამ დაავალა თავრიზის რკინის გზის მოძრაობის უფროსს ამხ. მოჩაროვს, შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის მთავრობათა წინაშე სპარსეთის ქვეშევრდომ ლტოლვილთა გადასაყვანათ ჯულფით სამშობლოში. პირველი 4 ვაგონი გაიგზავნეს ივნისის 7-ს.

◆ **დასაძინებელი ვაგონები.** გზის უფროსმა გასცა განკარგულება დასაძინებელი ერთი ვაგონის იმ მატარებლებისათვის მიბმის შესახებ, რომელიც როსტოვ თბილისს შორის დადის. ამ შემადგენლობის სხვა ვაგონებში ყველა ადგილები დანომრული იქნება დასაჯდომათ.

პარტიული ცხოვრება

მარტვილი.

დღეს, როდესაც ერთხელ და სამუდამოთ განისვენა სოციალ-გამყიდველ მენშევიკების მთავრობამ და მისმა ბატონობამ მშრომელ ხალხზე, მიეცა საშუალება ჩვენს ამხანაგებს გაეცხოველებინათ მუშაობა გაორკეცებული ენერგიით მთელს რაიონში. სასწრაფოთ იქმნა შედგენილი და სათანადო დონეზე დაყენებული ძველი ორგანიზაციები და მასთან იქმნა დაარსებული ახალი ორგანიზაციები (წრეები). მოხდა ხელახალი აღნუსხვა პარტიის ძველი წევრებისა, რომელიც დამთავრდა 29 აპრილს.

8 მაისს იქმნა მოწვეული სარაიონო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 22 დელეგატი და რამოდენიმე პასუხისმგებელი ამხანაგები. კონფერენცია გაიხსნა ამხ. უგულავას თავმჯდომარეობით და ამხ. ლ. მოგელაძის მდივნობით. დღიური წეს-რიგი: 1. მოხსენება მომენტზე, 2. რაიკომის არჩევა, 3. სამაზრო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა, 4. რაიკომის წარსული მუშაობა და მისი ანგარიშები, 5. იარაღების რეგისტრაცია, 6. ადმინისტრაციის მოქმედება, 7. რევკომის მოქმედება, 8. სასურსათო განყოფილების მოქმედება. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პლ. თანილიამ, რომელმაც მოკლეთ გააცნო ვის თანამედროვე მომენტი მნიშვნელობა.

თხის შესახებ (რაიკომის მონიავას მოხსენების ნციამ ერთხმათ აირჩია გი ამხანაგები: 1. იაკობ მონიავა, 2. ლონგინოზ მოგელაძე, 3. აქვსენტი წულაია, 4. პავლე ბიჩილავა (კანდიდატი). სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნათ არჩეულ იქმნა ერთხმათ შემდეგი დელეგატები: 1. პ. წულაია, 2. ი. მონიავა, 3. ო. გვილავა, 4. პავლე ბაჩილავა, 5. პ. წოწორია, 6. კ. თოფურია, 7. გ. კვირაია, 8. ლ. მოგელაძე, 9. ა. წულაია, 10. ი. ჭოლოკავა.

რაიკომის წარსული მუშაობა და მისი ანგარიშები მოკლეთ გააცნო კრებას ამხ. ი. მონიავამ. კრება დარჩა კმაყოფილი.

იარაღების რეგისტრაციის შესახებ დაევალა ყველა კომაჩეიკას მდივნებს მოახდინონ იარაღების რეგისტრაცია და წარმოუდგინონ რაიკომს.

აგრეთვე ყველა მორიგი კითხვები იქმნა გარკვეული.

კონფერენცია ესალმება საქართველოს კომუნისტურ პარტიის მრავალტანჯულ ბელადებს ამხ. ცხაკაიას და მახარაძეს და აგრეთვე მსოფლიო რევოლუციის წინამძღოლთ—ამხ. ლენინს და ტროცკის.

გაუმარჯოს III ინტერნაციონალს და მის ხელმძღვანელს—ამხ. ზინოვიევს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

ხუნწის მუშა.

პროფესიონალურ კავშირებში

ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირში.

ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირის საქარხნო კომიტეტების კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 28 მაისს, ამხ. მაშკოვიჩმა მოხსენება გააკეთა წარმოებრივ კავშირების მნიშვნელობა-დანიშნულების შესახებ. იყო მოხსენებები აგრეთვე ადგილებიდანაც ადგილობრივ კავშირების მოწყობის შესახებ. მოხსენებების შემდეგ აირჩიეს სარევიზიო და საკონფლიკტო კომისიების წევრები. სარევიზიო კომისიაში—ჯავახიშვილი, კოლესნიკოვი და შაუმიანი. საკონფლიკტო კომისიაში ფირანიშვილი, ბირიუკოვი და ერთიც კავშირის პრეზიდიუმის მიერ დანიშნული. ამას გარდა მოხდა დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრის. ამორჩეულ იქმნა ამხ. ივანიშვილი. კონფერენციის დახურვამდე მიიღეს ადგილობრივ ტრანსპორტის მოსამსახურეების დეპეშის ტექსტი სრულიად რუსეთის ყრილობისათვის გასაგზავნათ:

მელითონეთა კავშირში.

გამგეობის სხდომაზე 29 მაისს მოისმინეს ყველა განყოფილებათა მოხსენებანი. გამოირკვა, რომ სატარიფო სანორმო განყოფილებამ ამ ჟამათ დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო კატეგორიებად დანაწილება.

ამ მუშაობას განყოფილება შემფასებელ კომისიებთან ერთად აწარმოებდა. სანარდო მუშაობის საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ეკონომიური განყოფილება ორი მიმართულებით მუშაობს 1) მუშები აუცილებლათ უნდა იყვნენ მიკუთვნებულნი სასადილო-მერძეების პუნქტებში. უნდა მოუწყონ ფეხსაცმლის შეკეთების ორგანიზაცია და მუშების ტანსაცმლით უზრუნველყოფა.

2. გამოკვლეული უნდა იქნეს ლითონის დასამუშავებელ წარმოები და ელექტრო-სადგურები. კავშირის კულტურულმა განყოფილებამ წარმოებებთან გახსნა ბიბლიოთეკა სამკითხველოები, სადაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ გაზეთები მიდის. განყოფილებას განზრახვა აქვს მოაწყოს პროფესიონალური ტეხნიკური კურსები, საბავშვო მოედნები. საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებამ მოაწყო პატარა სახელოსნოები, ტფ. სადგურის და მიხაილოვის რაიონში ამორჩეულია ქარხნის კომიტეტები, კულტაჩეიკები, რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული კავშირთან და დიდ აქტიობასაც იჩენენ.

ხის დამმუშავებულთა კავშირში

კავშირის გამგეობამ საკონფლიქტო კომისიაში აირჩია ამხ. შაპოშნიკოვი, შერეშევსკი და დრიკი. რადგანაც კავშირები აშენდება წარმოებითი პრინციპზე, კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა კავშირიდან გარიცხოს მოანგარიშენი და მათი საქმეები მეტყავეთა კავშირს გადასცეს.

მეტყავეთა კავშირში.

ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის და ყოფილ ადელხანოვის საქციონერო საზოგადოების წარმოებათა დელეგატების სხდომაზე დადგენილია: მიღებულ იქნეს ყველა ზომები, რათა მუშებმა იარონ წერა-კითხვის უცოდინართა სკოლაში, რომელიც გახსნილია ნარფუხში.

მუშა-მოსამსახურეთა მიერ მუშაობის ხშირათ გაცდენის გამო, არჩეულია კომისია გაცდენათა საკონტროლოდ და მათი პასუხისგებაში მისაცემათ. აგრეთვე არჩეულია კომისია საკუთარ სადალაქოს გასახსნელად.

მელითონეთა კავშირში.

მელითონეთა კავშირის გამგეობამ რიგ გარეშე სხდომის დროს იმსჯელა პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების და დახელოვნებულ მუშათა მომზადების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. კილოსანიძე და მეცნიერულ პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების გამგე ამხ. ბირიუკოვი, რომელმაც გააცნო კრებას [illegible] მუშათა კადრის მოსამზადებელი მოკლე ვადიან კურსების და სკოლების პროექტი, რომელთა ნაკლებობაც ძლიერ საგრძნობია ყველა მრეწველობის დარგში, განსაკუთრებით კი ლითონის დამუშავებელში. მოხსენების შემდეგ გადაწყდა: მიღებულ იქმნას პრინციპიალურად პროექტი. საბჭოს კულტურულ განყოფილების მრეწველობის ცენტრ წარმოდგენილი ტეხნიკურ პროფესიონალურ განათლების პროექტი და დაევალოს ამხ. ბირიუკოვს საჩქაროთ შეუდგეს პროექტის მიხედვით ორგანიზაციის მოწყობას, რომელშიაც იგი შევა, როგორც გამგე წარმოებით ორგანიზაციების პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლებისა.

მელითონეთა კავშირის კულტურული განყოფილება.

კულტურულმა განყოფილებამ მიმართა ყველა ქარხნის კომიტეტებს და კულტაჩეიკებს წრიულით, რომელშიაც აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სხვა მრავალ მიზანთა შორის, უპირველეს მიზნათ ისახავს მუშა ახალგაზრდობის აღზრდას, მათგან ახალ ცხოვრების აშენებელთა შესაქმნელათ, წინადადებას აძლევს კავშირის ყველა კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციებს დიდის ყურადღებით მოეკიდონ ახალგაზრდობის ყველა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს, რომელთა გამომხატველი არის კომუნისტ ახალგაზრდობის ადგილობრივი იჩეიკა. ამიტომ კულტურული განყოფილება წინადადებას აძლევს იჩეიკას ჩააბან კლუბის აქტიურ მუშაობაში და საზოგადოთ მთელ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში.

კავშირის გამგეობამ პროფესიონალურ ტეხნიკურ განყოფილების დაყენების საკითხის გამო, სახელმძღვანელოთ მიიღო შემდეგი დებულებანი: 1) ლითონის დამამუშავებელი მრეწველობა განიცდის ამ ჟამად დიდ ნაკლებულებას ნასწავლ მუშებისას. 2) სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულმა მთავარმა პროფესიონალურმა განყოფილებამ აქამდე არაფერი არ ითავა ნასწავლ მუშების მოსამზადებლათ, დღემდე სექტორი არ დაარსა. 3) ვერ ისარგებლა საზაფხულო სეზონით, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ მუშებისათვის სკოლებისა და კურსების დასაარსებლათ, რადგან სასწავლებლების ბინები თავისუფალია.

იხელმძღვანელა რა ამ დებულებით, კავშირმა დაადგინა მოიწონოს პროექტი ტეხნიკურ პროფესიონალურ განათლებისა და რამდენადაც კი შეიძლება შეუდგეს ამ პროექტის განხორციელებას.

ხელახალი რეგისტრაცია

მელითონეთა კავშირის ყველა წევრები, როგორც ცალკე მომუშავენი, ისე სხვა და სხვა წარმოებათა და დაწესებულებებში მომუშავენი და აგრეთვე უმუშევარნიც 10 დღის განმავლობაში უნდა მივიდნენ თავიანთ კავშირში ხელახალი რეგისტრაციისთვის. მისვლა შეიძლება დილის 8 საათიდან 2 მდე, და საღამოს 5 საათიდან 7 მდე, საქმე დღეებში. ვინც არ გამოცხადდება ხელახალ რეგისტრაციისთვის აღარ ჩაითვლება კავშირის წევრათ.

მბეჭდავთა პროფესიონალური კავშირი.

პოლიგრაფიული წარმოების ადგილობრივ კომიტეტთა შეერთებულ სხდომაზე ივნისის 3 ყურულაშვილის მოხსენების შემდეგ, რომელიც საერთო საქალაქო პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნებს ეხებოდა, დელეგატებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: იაშვილი და მ. კარპოვი. კანდიდატებათ: ბოლქვაძე და პიმენოვი. ეკონომიურ განყოფილების გამგე ამხ. დიმიტრიაშვილის მოხსენების შემდეგ კრებამ მოიწონა ბეჭდავთა კავშირის ეკონომიური განყოფილების მოქმედება და მუშაობა; ამასთანავე გამოთქვა რწმენა, რომ პროფ. კავშირთა საბჭოს ეკონომიური განყოფილება მუშათა მომარაგების მიზნით საჭირო ზომებს მიიღებს. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ [illegible] არის ყველაფერი მოიმოქმედოს, რათა შრომის ნაყოფიერება გაძლიერდეს.

საბინაო საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა მიიღოს სათანადო ზომები მუშათა ჩასასახლებლად დანიშნულ სახლებში და ამ სახლებში მცხოვრებთა გადასასახლებლად მუშათა რაიონებში.

ივნისის 6 კავშირი თავის წევრების რეგისტრაციას შეუდგა.

პროვინციაში

26 მაისობა ბორჯომში.

დიდი ზეიმით და არა ჩვეულებრივი აღფრთოვანებით იქნა გადახდილი 26 მაისის დღესასწაული. ბორჯომის რაიონის პარტიულმა კომიტეტმა წინდაწინ მიმართა მოწოდებით ყველა ადგილობრივ პარტკომაჩეიკებს, რათა სათანადოთ მოეწყოთ ყოველგან დღესასწაული. კომიტეტმა აირჩია კომისია, პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან დღესასწაულის ღირსეულათ მოსაწყობათ. გათენდა 26 მაისი. ამ დღეს ქ. ბორჯომი წარმოადგენდა საუცხოვო სანახაობას; ყველა სახლები იყო მორთული წითელი დროშებით და ყვავილებით. დილიდან დაიწყო ხალხის დენა. ყველა მიეშურება რომეროვსკის ბაღისაკენ, ეტყობა, რომ მიტინგი იქ იმართება. ბაღში აურაცხელი ხალხია. ხალხის ყურადღებას იპყრობს დუდუკის ხმა, ბაღს უახლოვდება წინ წითელი დროშით მწყობრათ დარაზმული ბორჯომის რაიონის ახალგაზრდა კომუნისტთა შეიარაღებული გუნდი. ახალგაზრდების სახეზე აღბეჭდილია სიხარული და მომავლის იმედი. ისინი ჩერდებიან დანიშნულ ალაგზე. ხალხში კიდევ მოისმის მითქმა მოთქმა, ვიღაცას მოუთმენლად ელიან. ყველა იყურება კომიტეტის ბინისაკენ; აგერ გამოჩნდა წითელი დროშით კომიტეტის შემადგენლობა, წინ მოაქვთ გაკეთებული ნამგალი და ჩაქუჩი ყვავილებში ერთმანეთზე გადახლართული, მოგვიახლოვდენ თუ არა, იგრიალა ხალხმა, ვაშა კომუნისტურ პარტიას და მის მისწრაფებას, გაუმარჯოს მე III მე ინტერნაციონალს, გაისმის ხალხში გუგუნი.

მიტინგს ხსნის კომიტეტის სახელით კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ შალუტაშვილი, სიტყვა ეძლევა ბორჯომის რაიონის რევკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ბარბაქაძეს მან მოკლეთ და მკაფიოთ და უშუალოთ დაუხატა საზოგადოებას 26 მაისის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის; აღნიშნა თუ ვისი წყალობით იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებული, კომუნისტური პარტია ის ის პარტიაა, რომელმაც ყველაზე უწინ გამოაცხადა პატარა ერების დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევა. ბოლოს მენშევიკები ბოლშევიკების ზეგავლენით იძულებული იყვნენ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მხოლოთ სხვა სახით და სხვა ფორმით. მან მიუთითა ყოფ. მეფე ნიკოლოზის ბიძას მიხეილის ძეგლს და სთქვა, რომ მენშევიკებმა ვერც ვერ შეძლეს, რომ ასეთი დესპოტების ნაშთების მოეშორებინათ და აღმოეფხვრათ ხალხის მახსოვრობიდან წარსული დროის ტანჯვის მოგონებანიო, დაასრულა სიტყვა თუ არა, მოხსნილ იქნა ძეგლიდან მიხეილის პროფილი და მისს ალაგზე დადგეს ჩაქუჩი და ნამგალი. ხალხი დიდ აღტაცებაში მოვიდა, ვაშას ძახილით და ტაშის ცემით მიეგება კომიტეტის გადაწყვეტილებას. შემდეგ ილაპარაკა მე 11 არმიის წარმომადგენელმა. მან აუხსნა ხალხს, თუ რა მიზნით მოვიდა საქართველოში წითელი არმია. ის მოვიდა არა როგორც დამპყრობელი, არამედ, როგორც თავისუფლების მატარებელი, მათ მოაქვთ ყველა პატარა ერებისათვის თავისუფლება და აღორძინება სოციალისტურ ნიადაგზეო. დასასრულ უსურვა მან ქართულ წითელ არმიას გამრავლება და განმტკიცება მსგავსათ თავისი მოძმე საბჭოთა რუსეთის წითელი არმიისა. ილაპარაკა აგრეთვე გროკავროსტის (ბორჯომის განყოფილების) გამგემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, მენშევიკების სამი წლის „[illegible]" საქართველოში და მათი მოღალატური მუშაობა საქართველოს მუშათა კლასის მიმართ, და დამთავრა თავისი სიტყვა მით, რომ დღეს საქართველო სრულიათ თავისუფალი და დამოუკიდებელია ბურჟუაზიულ ევროპისაგანო. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც, რომელთაც ხალხი დიდი აღტაცებით უსმენდა. კრების გათავებისას გამოტანილ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია, საღამოს გაიმართა წარმოდგენა საზაფხულო თეატრში: დადგმულ იქმნა „არსენა ყაჩაღი" [illegible] მოქმედებიანი დრამა, ვასო ციმაკურიძის რეჟისორობით. წარმოდგენას დიდი ხალხი დაესწრო. მოთამაშეებმა შეასრულეს თავიანთი როლები კარგათ და დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. დიდი მადლობის ღირსია ამხ. ალაბაძე, თეატრის კომისარი, რომელმაც ასე კარგათ დააყენა თეატრის საქმე და ღირსეულ ძალებს მოუყარა თავი თეატრის გარშემო. მადლობის ღირსია აგრეთვე ამხ. ვასო ციმაკურიძე, რომელმაც არ დაიშურა თავისი შრომა პიესის დადგმაში. მე ვუსურვებ ნორჩ და ახალგაზრდა ბორჯომის ქართულ დრამატიულ სტუდიას აყვავებას და განვითარებას.

ხნივი

სოფ. ფოცხო (სამეგრელო).

მაისს. მოხდა ქალთა 9 კრება, თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. ან. მამულია. კრებას დაესწრო ასამდე ქალი, კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. სამსონ მამულიასი ქალთა საკითხის და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია მსმენელთა შორის.

ერთხმად ნდობას უცხადებს საბჭოთა მთავრობას და გამოსთქვამს იმედს, რომ კომუნისტური პარტია ერთად ერთი დაიცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, მაშ გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს რევოლუციის ბელადს ამხ. ლენინს. გაუმარჯოს თავისუფალ საბჭოთა საქართველოს და მასში თავისუფალ ქალს, თავისუფალ დედებს.

კრების თავმჯდომარე ა. მამულია.
მდივანი. ე. გოგუაძე.

სოფელი იტრია

რევკომის თავმჯდომარე ამხ. სანდრო [illegible]ძის ხელმძღვანელობით იქმნა ს. იტრიაში მოწყობილი თეატრის შენობა. კვირაში ორჯერ იმართება უფასო საღამო. ხალხი ამით დიდად კმაყოფილია. მანვე მოაწყო უფასო სამკითხველო, შეუდგა აგრეთვე საზაფხულო ბაღის შექმნას.

ძინძიბაძე

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, თეატრი „[illegible]". ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო [illegible]ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კომიტეტის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრი

აცხადებს რომ საქართველოს რესპუბლიკაში არსებული ყველა სამეცნიერო საზოგადოება და წრე ვალდებულია აღიცხოს განათლების კომისარიატში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ა. წ. 20 ივნისამდის.

ყველა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ხსენებული საზოგადოებისა და წრეებისა ამ ბრძანებისა აუსრულებლობისათვის სარევოლიუციო სამართლის წესით იქნებიან დასჯილნი. 11 ივნისს 1921 წ.

დ. კანდელაკი

ს. კ. პ. თბილისის მე-4 რაიონული კომიტეტისაგან

სამშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 7 საათ. შესდგება მე-4 რაიონის უჯრედების (იაჩეიკების) პასუხისმგებელ ხელმძღვანელების კრება, მუშაობის საერთო გეგმის გამოსამუშავებლათ. რაიკომის მიერ დანიშნულ ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა. სხდომა დანიშნულია რაიკომის ბინაზე (ოლღას ქ. 29).

პასუხისმგებელი მდივანი (ხელმოწერილი)

ამიერ კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების რკ. გზ. სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1921 წ. 18 მაისიდან აღნიშნულ რკ. გზ. სამმართველოსთან დაარსდა „ამიერ-კავკასიის ადგილობრივ მიმოზიდვის ბიურო", როგორც დამხმარე ორგანო კავკასიის საოლქო მიმოზიდვის კომიტეტისა და მოქმედებს თანახმათ დებულებისა ადგილობრივ მიმოზიდვის ბიუროების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის 1920 წ. 10 მარტის ბიულეტინში № 45. ყველა საკითხების შესახებ, რომელიც ეხება საბარგო მიმოზიდვის განაწილებას და მოგვარებას, უნდა მიმართოთ აღნიშნულ ბიუროს, რომელიც მოთავსებულია ქ. თბილისში, ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების რკ. გზ. სამმართველოს შენობაში. სადგურის ქ. № 1 მე 2 სართული, სადაც იმყოფება ბიუროს სეკრეტარიატი. შემოკლებული მისამართი დეპეშებისათვის თბილისი „ბიუზაკ".

ჟურნალი "ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების საგიტაციო განყოფილებაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5).

ჟი 5000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.